„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ“ რექტორის 2013 წლის 17 დეკემბრის №172/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 10 თებერვლის დადგენილებით № 11/2014 დამტკიცებული კომისიის (პუნქტი ა) საქართველოს ისტორიის მიმართულება) შემაჯამებელი სხდომის

N5 ოქმი

ქ. თბილისი

20 თებერვალი 2014 წ.

სხდომას კომისიის 5 წევრიდან ესწრებოდა შემდეგი 5 წევრი: 1. კომისიის თავმჯდომარე - ჯაბა სამუშია, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი); 2. კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - გიორგი ოთხმეზური, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი); 3. დიმიტრი შველიძე - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი); 4. ქეთევან ნადირაძე - თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი); 5. კომისიის მდივანი - გიორგი ჟუჟუნაშვილი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, კავკასიის ხალხთა ისტორიის დეპარტამენტი).

დღის წესრიგი:

„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების სამსა-

ხურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ“ რექტორის 2013 წლის 17 დეკემბრის №172/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით კენჭისყრის ჩატარებისა და კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ.

სხდომა გაიხსნა 10[30] საათზე

მოისმინეს: „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ“ რექტორის 2013 წლის 17 დეკემბრის №172/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებულ კონკურსში საქართველოს ისტორიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით კენჭისყრის ჩატარების შესახებ კომისიის თავმჯდომარის, პროფესორ ჯაბა სამუშიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ პროცედურების შესაბამისად ჩატარდა პრეტენდენტის შეფასების ორივე ეტაპი. შედეგების გაანალიზებისა და კომისიის ყველა წევრის აზრთა გაზიარების საფუძველზე საჭიროა პრეტენდენტის საკითხი დადგეს ღია კენჭისყრაზე (კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი, მუხლი მე-8, 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 პუნქტები), რათა გამოვლინდეს „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორე-ბის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ“ რექტორის 2013 წლის 17 დეკემბრის №172/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადე-ბული კონკურსის გამარჯვებული შემდეგი საკონკურსო აკადემიური თანამდებობის მიხედვით: საქართველოს ისტორიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ჯაბა სამუშიამ, ასოცირებულმა პროფესორებმა: გიორგი ოთხმეზურმა, დიმიტრი შველიძემ, ქეთევან ნადირაძემ, გიორგი ჟუჟუნაშვილმა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა - საქართველოს ისტორიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული:

მერაბ ვაჩნაძე – გამარჯვებულად გამოცხადების მომხრე 3, წინააღმდეგი 2;

დავით მერკვილაძე – გამარჯვებულად გამოცხადების მომხრე 3, წინააღმდეგი 2;

ქეთევან ქუთათელაძე – გამარჯვებულად გამოცხადების მომხრე 3, წინააღმდეგი 2;
აპოლონ თაბუაშვილი – გამარჯვებულად გამოცხადების მომხრე 5, წინააღმდეგი 0;

დაადგინეს:

1. „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ“ რექტორის 2013 წლის 17 დეკემბრის №172/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებულ კონკურსში საქართველოს ისტორიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 1 ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გამარჯვებულად გამოცხადდეს: აპოლონ თაბუაშვილი.
2. შემაჯამებელი ოქმი დასამტკიცებლად გადაეცეს თსუ აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.
3. კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის მე-8 მუხლის, მე-5 პუნქტის თანახმად შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს თსუ ვებგვერდზე და განთავსდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე.
4. კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის მე-8 მუხლის, მე-5 პუნქტის თანახმად შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში კონკურსანტს უფლება ეძლევა გაასაჩივროს კომისიის შემაჯამებელი ოქმის შედეგები იმავე კომისიაში.

სხდომა დახურულად გამოცხადდა 11[30] საათზე

კომისიის თავმჯდომარე: /ჯ. სამუშია/

კომისიის მდივანი: /გ. ჟუჟუნაშვილი/